

JEL Classification: G21

<https://doi.org/10.35945/gb.2020.09.012>

RESPONSIBLE LENDING - RESULTS AND PROSPECTS

RAMIN TSINARIDZE

Doctor of Business management, Assistant Professor

Batumi Shota Rustaveli State University, Georgia

ramin.tsinaridze@bsu.edu.ge

LASHA BERIDZE

Doctor of Business Administration, Associate Professor

St. Tbel Abuserisdze Teaching University, Georgia

l_beridze@mail.ru

Abstract. Research on financial sector activity is especially important for developing countries, including Georgia, as this sector is the main driving force of the country's economy. Any economic reforms undertaken in the country have a significant impact on the general economic policy and economic growth.

Under the new regulation from January 1, 2019 the lending procedure from the financial sector has been tightened. At present time, they operate by the principle of responsible lending, which means, that a potential customer of a bank product should not be subject to a financial obligation that he or she will not be able to pay without financial difficulties.

The purpose of this study is to analyze the positive and negative effects of already existing responsible lending regulations, which is directing against indebtedness and to predict the expected future results. At the same time, the task of the research is to identify challenges, risks, results that accompany the reform based on the practices of developed and developing countries.

The study uses a combination of quantitative and qualitative methods. Also, in the research are used methods of system analysis, analogy, forecasting, synthesis, processing of statistical data and other methods. The methodological of the research is the fundamental articles of economic science. The paper widely used scientific and popular works by local and foreign authors, scientific studies, methodological publications and articles.

In the modern world any banking reform in developing and developed countries is linked to economic and political (often painful) changes, but this reform implementation is inevitable in all states, regardless of their level of development. The main reason for this is the reduction of indebtedness in the public and economic sectors, but this requires the introduction of a proper lending system that should not limit the development of the financial sector and, on the other hand, be an optimal source of replenishment of financial deficits.

Interest rate cuts are likely to have a short-term effect, which will not only help tighten lending policy by itself, and will require other macro-prudential decisions, especially when the NBS has raised its refinancing rate from 6.5% to 7%, due to inflation targeting. It implements the monetary policy transmission mechanism and negatively impacts on the interest rate on loans issued by the banking sector and on aggregate demand itself, so economic growth is likely to be adjusted again.

KEYWORDS: RESPONSIBLE LENDING, INDEBTEDNESS, CREDITWORTHINESS, HEDGE BORROWER.

For citation: Tsinaridze, R., Beridze, L. (2020). Responsible Lending - Results and Prospects. *Globalization and Business*, №9, pp. 96-103 (In Georgian). <https://doi.org/10.35945/gb.2020.09.012>

პასუხისმგებლიანი დაკრედიტება – შედეგები და პერსპექტივები

რამინ ცინარიძე

ბიზნესის მართვის დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი

შოთა რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

ramin.tsinaridze@bsu.edu.ge

ლაშა ბერიძე

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

წმიდა ტბელ აბუსერიძის სასწავლო უნივერსიტეტი, საქართველო

l_beridze@mail.ru

საკვანძო სიტყვები: უპასუხისმგებლიანი დაკრედიტება, ჭარბვალიანობა, კრედიტუნარიანობა, ჰაბიტუალური მსმსხმებელი.

ციტირებისთვის: ცინარიძე რ., ბერიძე ლ. (2020). პასუხისმგებლიანი დაკრედიტება – შედეგები და პერსპექტივები. *გლობალიზაცია და ბიზნესი*, №9, გვ. 96-103. <https://doi.org/10.35945/gb.2020.09.012>

შესავალი

საბანკო სექტორი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკისათვის. გარდამავალი თუ განვითარებადი ეკონომიკისათვის მნიშვნელოვანია რომ ფინანსურმა სექტორმა განსაკუთრებული როლი შეასრულოს მიმდინარე მოთხოვნილების დაფინანსებაში. აღნიშნული გამოდინარეობს ეკონომიკური პროცესის ლოგიკური დასკვნადან, რამეთუ ისეთი ქვეყნისათვის, როგორც საქართველოა, აქტიური მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება ვერ ხერხდება საკუთარი სახრებით, რაც ბიძგის მიმცემია საბანკო სექტორისათვის, რომ მოახერხოს ასეთი მოთხოვნილების დაკრედიტება. ნებისმიერ შემთხვევაში კომერციული ბანკის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გამომდინარეობს საზედამხედველო ორგანოს მიერ მიღებული ნორმატიული აქტებიდან და ბანკის საკრედიტო პოლიტიკიდან, რაც საერთოა მსოფლიოს ნებისმიერი სისტემისათვის და საერთაშორისო რეგულირების სტანდარტებითაც აღიარებულია. „საბანკო-საკრედიტო სისტემა ესაა ქვეყნის ფინანსური სისტემის უმნიშვნელოვანესი ელემენტი და წარმოადგენს ბანკებისა და საკრედიტო ინსტიტუტების ერთობლიობას, რომელიც ფუნქციონირებს ერთიანი ფულად-საკრედიტო მექანიზმის ფარგლებში. თანამედროვე საბანკო-საკრედიტო სისტემა ნებისმიერი სახელმწიფოს ნაციონალური ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი ელემენტია“ (Kovzanadze..., 2017:30).

არსებობს მრავალი განმარტება და საზომი ჭარბვალიანობის შეფასებისას. 2008 წელს ევროპულმა კომისიამ

გამოიკვლია და შეაფასა განმარტებები და საზომები ჭარბვალიანობის ევროკავშირის ქვეყნებში, რის შემდეგაც იდენტიფირებული იქნა შემდეგი ოთხი ფაქტორი:

- ეკონომიკური;
- დროებითი;
- სოციალური;
- ფსიქოლოგიური.

ჭარბვალიანობის ნეგატიური ეფექტები ზეგავლენას ახდენს არამართო ინდივიდებზე, არამედ საზოგადოებაზეც. საზოგადოების გადმოსახედიდან, ჭარბვალიანობის ეფექტი შემდეგში გამოიხატება:

- ეკონომიკური: ჭარბვალიანობა ანელებს ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებას, ასევე კრედიტების წვდომაზე შეზღუდვით ზეგავლენას ახდენს ბიზნეს-სუბიექტის ქცევაზე;
- სოციალური: ჭარბვალიანობა და ფულად ნაკადებზე წვდომის შემცირება ზრდის სოციალურ უთანასწორობას, რაც საბოლოო ჯამში ზრდის სიღარიბის ზრდის შესაძლებლობას;
- პოლიტიკური: რეგულატორის მიერ ჭარბვალიანობის ვერ მოთოვამ შეიძლება გამოიწვიოს პოლიტიკური პროცესის დისკრედიტაცია თუ ჭარბვალიანობის საკითხი ხდება ფართომასშტაბიანი და პოლიტიზირებული;
- სამართლიანობის აღქმა: არაკეთილსინდისიერი კრედიტორები შეიძლება იმუნიტეტის ქვეშ აღმოჩნდნენ, მაშინ როდესაც ჭარბვალიანი კრედიტორები ვერ იღებენ დაცვას სასამართლოსაგან.

საფინანსო ინსტიტუტების საკრედიტო პოლიტიკის შემუშავებასა და ცვლილებაზე გავლენას ახდენს მრავალი

ფაქტორი, რომლის დაყოფა შესაძლებელია მიკრო და მაკრო ფაქტორებად. საკრედიტო პოლიტიკაზე მოქმედი მაკრო ფაქტორები ის ფაქტორებია, რომლებზედაც საფინანსო ინსტიტუტებს არ შეუძლიათ ზეგავლენის მოხდენა. (Basilaia, 2018: 206)

პასუხისმგებლიანი დაკრედიტების უცხოური გამოცდილება

პასუხისმგებლიანი დაკრედიტების აუცილებლობა განპირობებულია შემოსავლების გაუთვალისწინებლობით, რომელიც გამომდინარეობს ფიზიკური პირების მიმდინარე და სამომავლო მდგომარეობის ჭარბი შეფასებით, აღნიშნული თავისთავად დაკავშირებულია და შეუძლებელია, განხილულ იქნას ქვეყნაში მიმდინარე ეკონომიკურ ტენდენციების გაუთვალისწინებლად, მაგრამ გაუთვალისწინებელი ხარჯების მოცულობის ცვლილება რასაკვირველია განვითარებადი ქვეყნებისათვის უფრო მეტად დამახასიათებელია, ამბზე მოწმობს ქვემოთ მოყვანილი ცხრილი და აღნიშნული დამახასიათებელია საქართველოს მოქალაქეებისათვის (World Bank..., 2013:11)

მიუხედავად იმისა, რომ პასუხისმგებლიანი დაკრედიტება შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს დაბალ შემოსავლიანი ქვეყნებისათვის, ის ასევე აქტუალურია მაღალ შემოსავლიანი ქვეყნებისათვისაც, ამის დასტურია 2008 წლის ფინანსური კრიზისი, როდესაც ფინანსურმა გაფართოებულმა ინკლუზიურმა პოლიტიკამ იპოთეკური სუბსტანდარტული მსესხებლების მიმართ საბოლოო ჯამში გამოიწვია ასეთი მსესხებლების უუნარობა, მომსახურებოდნენ იპოთეკურ სესხებს გრძელვადიან პერიოდში.


ამასთანავე, სშირად მსესხებლის მიერ არ იყო კარ-

გად გაგებული (ინფორმირებული) პროდუქციისა და რისკის შესახებ, რომელიც დაკავშირებული იყო სესხთან და რომელსაც ფარავდნენ ზედამხედველები. მსგავსად აღნიშნულისა, რამდენიმე მაღალშემოსავლიანი ქვეყნების ცენტრალური ბანკი - პოლონეთი, უნგრეთი, ხორვატია - აღმოჩნდნენ მძიმე მდგომარეობაში, როდესაც 2008 წლის კრიზისის შემდეგ მათი ვალუტა დაეცა უცხოურთან მიმართებაში და მომხმარებლები (მსესხებლები) უცებ აღმოჩნდნენ პირისპირ ახალ მდგომარეობასთან, რომელიც განპირობებული იყო ეროვნული ვალუტის გაუფასურებით უცხოურ ვალუტაში დენომინირებული იპოთეკური სესხებით.

2013 წლის მსოფლიო ბანკის კვლევით - ფინანსური მომხმარებლების დაცვისათვის - უმრავლესობა ქვეყნებისა მიუთითებდა, რომ გააჩნია გარკვეული ფორმა პასუხისმგებლიანი დაკრედიტების (80 ქვეყანამ 114 ქვეყნიდან მიუთითა ასეთი პროგრამის შესახებ). ბევრ ქვეყანას აქვს კარგად დაწერილი წესები, მაგრამ ზედამხედველის უფლებამოსილება საკმაოდ ფორმალურია. მსოფლიო ბანკის კვლევის თანახმად ქვეყნების უმრავლესობას კარგად აქვს გაწერილი მომხმარებელთა დაცვის რეგულაციები, მაგრამ მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი ექვემდებარება რეალური ქმედებით შესრულებას. მაგალითად, ევროპისა და ცენტრალური აზიის მსხვილი ქვეყნები შემუშავებული აქვთ წესები შეცდომაში შემყვანი რეკლამის შესახებ, მაგრამ როდესაც მსოფლიო ბანკის კვლევის ჯგუფმა დაიწყო კვლევა, თუ როგორი საქმიანობით იკვლევდა საზედამხედველო ორგანო ასეთ შემთხვევებს, აღმოჩნდა, რომ რაიმე რეგულარული ან ფორმალური ჩარჩო სამოქმედო საზედამხედველო ორგანოებს არ გააჩნდათ.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ პასუხისმგებლიანი დაკრედიტება განიხილება, როგორც მაკროპრუდენციული

დიაგრამა №1. ზრდასრულების წილი, რომლებმაც განაცხადეს გაუთვალისწინებელი ხარჯების შესახებ



წყარო: World Bank

პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილი და აღნიშნული აღიარებულია პილარ 3 წესებით და ზოგადად შეადგენს საერთაშორისო სტანდარტს, მაგრამ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კონკრეტული ქვეყნის მარეგულირებელი ორგანოს გადაწყვეტილება უნდა ემსახურებოდეს მიმდინარე ეკონომიკურ პოლიტიკას და სოციალურ მდგომარეობას, მათ შორის საზოგადოების ინფორმირებულობას, ნებისმიერ შემთხვევაში, მსესხებლებისათვის მნიშვნელოვანია ყოველთვის სესხის მოცულობა, რომელიც კორექტირდება საპროცენტო განაკვეთის სიდიდით და ვალუტის ცვალებადობით, ამიტომ მიმდინარე რეგულირების ტენდენციებით ფინანსური ზედამხედველობის როლი არ შემოიფარგლება მხოლოდ წესების შემოღებით, არამედ აქტიური მონაწილეობით სესხზე საპროცენტო განაკვეთის შემცირებით და ხელმისაწვდომობით (World Bank.... 2013:26).

ხშირად გამსესხებლების პოლიტიკა მიმართულია შემოსავლების ვერიფიკაციაზე, რომელიც ეწინააღმდეგება სახელმწიფოს გვეგებს, ებრძოლოს ჩრდილოვან ეკონომიკასა და გადასახადებისაგან თავის არიდებას. რადგან სახელმწიფოები ებრძვიან ჩრდილოვან ეკონომიკას, ისინი ხშირად ეძებენ გზებს, რომლითაც მოტივაციის მიმცემი იქნება, მოქალაქეებისათვის წარადგინონ დეკლარაცია მათ შემოსავლებზე და გადაიხადონ გადასახადები მათ შემოსავლებზე. მაგალითად, მოლდოვაში (ერთ-ერთ ღარიბ ქვეყანა ევროპის კონტინენტზე GDP-სთან ერთ სულ მოსახლეზე თანაფარდობით - პერ კაპიტალის მოცულობით) 57% მოლდოველების არ ასახავენ სრულ შემოსავლებს შრომის მინისტრის განცხადებით.


კრედიტუნარიანობის შეფასებისას მხედველობაში მიღე-

ბული უნდა იქნას მსესხებლის უნარი, სრულად მოემსახუროს სესხს. აშშ-ში 2008 წლის კრიზისამდე, იპოთეკური სესხების უმრავლესობა გაიცემოდა თავდაპირველი (საწყისი) საპროცენტო განაკვეთების მიხედვით, რომლებიც გაცილებით დაბალი იყო ვიდრე გარკვეული ვადის შემდგომ სესხის საპროცენტო განაკვეთი (მაგალითად, მომხმარებელი პირველი ორი წლის განმავლობაში გადაიხდიდა 2%, ხოლო დანარჩენი 10 წელი 7%, ამასთანავე იხდიდა მხოლოდ პროცენტზე და არა ძირითად თანხას). დღესდღეობით მრავალი ქვეყნის რეგულატორი იყენებს სხვადასხვა პირობებს მსესხებლის გადახდისუნარიანობის შეფასებისათვის სხვადასხვა ეკონომიკური სცენარების გათვალისწინებით, როგორცაა 2%-ით მაღალი განაკვეთი ან მნიშვნელოვანი მერყეობა ეროვნული ვალუტის უცხოურ ვალუტებთან (World Bank.... 2013:25-38).

კვლევა და კვლევის შედეგები

საქართველოსთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან და პრობლემატურ საკითხად რჩება ჭარბვალიანობა, რამეთუ ფინანსური განათლების არასახარბიელო ვითარება, ასევე მოსახლეობაში დაბალი შემოსავლები, მოსახლეობას უბიძგებს იმისკენ, რომ უკვე რამდენიმე წლის განმავლობაში ფიზიკური პირები აქტიურად და ხშირად გაუაზრებლად ახდენდნენ კრედიტის აღებას, რაც გამართლებული დაკრედიტების მნიშვნელოვანი ეფექტიდანაც იყო ნაკარნახევი და არამართო დაბალი ფინანსური განათლებით. შესაბამისად, ბოლო დროინდელი ცვლილებით, რომელიც მიღებულ იქნა 2018 წლის 24 დეკემბერს, 2019 წლის 01 იანვრიდან ძალაში

დიაგრამა №2. თუ გჭირდებათ სამომხმარებლო კრედიტი რომელ ფაქტორები იქნებოდა ყველაზე მნიშვნელოვანი კრედიტის აღებისთვის? (ირლანდიაში ჩატარებული კვლევის თანახმად)



წყარო: World Bank

შევიდა ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ დებულება. აღნიშნული დებულებით განისაზღვრა პასუხისმგებელიანი დაკრედიტების პრინციპები, სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტების, ასევე დაანგარიშების პრინციპებისა და შემოსავლების შეფასება. აღნიშნული დებულებით გამკაცრდა მანამდე არსებული დაკრედიტების პოლიტიკა და შედეგზე ორიენტირს თუ განვიხილავთ, სწორედაც რომ აღნიშნულის მატარებელი უნდა იყოს ეს ცვლილებები, ანუ ფიზიკურ პირებზე კრედიტების გაცემის შემცირება (მეტი ვერიფიკაციის პირობებში) და შესაბამისად ჭარბვალიანობისაც.

საქართველოს ეროვნული ბანკის ერთ-ერთი და უმნიშვნელოვანესი ფუნქცია ფინანსურ სექტორზე ზედამხედველობაა, რომელიც თავისთავში მოიაზრებს მომხმარებლის უფლებების დაცვას, მაგრამ ეროვნული ბანკის ასევე მნიშვნელოვანი ფუნქციაა, რომ მან ხელი უნდა შეუწყოს ქვეყანაში მდგრად ეკონომიკურ ზრდას ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას მისი ძირითადი ამოცანების შესრულებას. შესაბამისად, როდესაც ეროვნული ბანკის მხრიდან მიიღება ასეთი გადაწყვეტილება, საინტერესოა რამდენად ხდება ამ ორი ფუნქციის დაკავშირება და ანალიზი, რამეთუ კარგია, როდესაც მიიღება გადაწყვეტილება რომელიც ეხება ერთი სექტორის ინტერესებს, მაგრამ რამდენად მნიშვნელოვანი იქნება ის სხვა სექტორისათვის ან ზოგადად სახელმწიფოს ეკონომიკისათვის.

გაცხადებული მოსაზრებებით, აღნიშნული გამოიწვევს სამომავლოდ (პროგნოზირებით) ეკონომიკის 1%-მდე შემცირებას, მაგრამ ეს მხოლოდ ვარაუდებია და რეალური შედეგი დინამიკაში უნდა განვიხილოთ, როდესაც გვექნება კვარტალური, ნახევარ წლიანი ან წლის მონაცემი დაკრედიტების მოცულობის, საბანკო სექტორის შემოსავლების და ეკონომიკური ზრდის შესახებ. არსებული ინფორმაციით უკვე შეინიშნება გარკვეული საფრთხეები რომელიც გამოვლინდა განვადებით დაფინანსებისას, რადგან საყოფაცხოვრებო ნივთების რეალიზატორი ფირმები ცდილობენ, შეამცირონ საკუთარი (მაგ: ტექნობუმი) ფილია-

ლების რაოდენობა შემცირებული შემოსავლების გამო, ან მოახდინონ საქონელზე ფასის შემცირება, რადგან შესაძლებელი გახდეს პოტენციური მყიდველისათვის ახალი დაკრედიტების სისტემით საქონლის განვადებით შეძენა. არსებული ვითარება რათქმაუნდა არ აისახება დადებითად იმ მეწარმეებზე, რომლის ძირითადი შემოსავლები განვადებით გაყიდვაზე მოდიოდა. ასევე მნიშვნელოვანი პრობლემების წინაშე აღმოჩნდნენ დეველოპერი კომპანიები, რომლის შემოსავლების ძირითადი ნაწილი ფიზიკური პირების იპოთეკურ სესხებზე მოდიოდა.

აღნიშნული დარგი ეკონომიკაში ერთ-ერთი ყველაზე მოცულობითი და შესაბამისად ამ დარგში გაყიდვების შემცირება გარკვეული პროპორციით მანაც გამოიწვევს ეკონომიკის ზრდის შემცირებასაც. რეალურად უკვე არსებობს პრობლემა ამ მიმართულებით და გამოსავლის ძიება საჭირო იქნება, რათა მოინახოს ბანკებს და დეველოპერებს შორის საერთო-განსაკუთრებულ პირობებზე შეთანხმება და აღნიშნული უნდა მოხდეს საზედამხედველო ორგანოს (ეროვნული ბანკის) რეგულაციით ან გარკვეული ცვლილებებით კანონმდებლობაში.

ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ დაკრედიტების სისტემის გამკაცრება ნაკარნახევი შეიძლება იყოს მრავალი ფაქტორიდან, მაგრამ მისი შედეგების პროგნოზირება ყოველთვის უნდა იყოს ადეკვატური და გაანალიზებული, ანუ უნდა პასუხობდეს ქვეყანაში არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ გამოწვევებს. საქართველოში არსებული ფინანსური განათლების ნაკლოვანების შედეგებით მრავალი ფიზიკური პირი და ოჯახი დაზარალდა, მაგრამ გამკაცრებული პოლიტიკის შედეგი როგორ აისახება სამომავლოდ მოსახლეობაზე ან მეწარმეებზე ესეც შესაფასებელია. დამტკიცებული დებულებით 1,000 ლარამდე ყოველთვიური შემოსავლებზე არაჰევირებული მსესხებლისათვის სესხის მომსახურების კოეფიციენტი 20/25%-მდე, ხოლო ჰევირებული მსესხებლისათვის 25/35%-მდე განისაზღვრა.

ჰევირებულ მსესხებლად ითვლება პირი კონკრეტული

ცხრილი №1. სესხის მომსახურების მაქსიმალური კოეფიციენტი (PTI)

ყოველთვიური წმინდა შემოსავალი, ლარი	არაჰევირებული მსესხებლისათვის მაქსიმალური/საკონტრაქტო ვადიანობაზე	ჰევირებული მსესხებლისათვის მაქსიმალური/საკონტრაქტო ვადიანობაზე
<1,000	20%/25%	25%/35%
<=1,000-2000<		35%/45%
>=2,000-4,000<	25%/30%	45%/55%
>=4,000	30%/35%	50%/60%

ცხრილი №2. სესხის უზრუნველყოფის მაქსიმალური კოეფიციენტი

ლარით გაცემული სესხებისათვის	85%
უცხოური ვალუტით გაცემული სესხებისათვის	70%

წყარო: Order of the President of the National Bank of Georgia №281/04

ვალუტის მიმართ, თუ მისი ყოველთვიური წმინდა შემოსავლები არანაკლებია ამავე ვალუტაში სესხის მომსახურების საჭირო წმინდა შემოსავალზე.


აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ აღნიშნული რეგულაციები გავრცელდა ფიზიკური პირზე გაცემულ ყველა სესხის სახეობაზე, ხოლო გამონაკლისი შემთხვევები ცალკე მუხლით განისაზღვრა. აღნიშნული დაკრედიტების მოთხოვნები ასევე არ გავრცელდა სამეწარმეო მიზნობრივობით გაცემულ სესხებზე.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საქართველოში მოსახლეობის უმრავლესობის საშუალო ხელფასი 1,000 ლარის ფარგლებშია და შესაბამისად ასეთ პირებს ძალიან გაუჭირდებათ სესხის აღება, რაც თავისთავად მნიშვნელოვან გე-

გავლენას მოახდენს ბანკების და მეწარმეების შემოსავლებზე, რამეთუ პოტენციური კლიენტების უმრავლესი ნაწილი აღნიშნული ცვლილების შემდეგ ვერ შეძლებს სესხის აღებას. აქედან გამომდინარე, უკეთესი იქნებოდა რომ ეროვნულ ბანკს შეემუშავებინა ისეთი ნორმატიული აქტი, რომლითაც გარკვეული პერიოდის შემდეგ, პერმანენტულად, გარკვეულ დონემდე მოხდებოდა დაკრედიტების გამკაცრება, ეს უფრო მეტად შეუწყობდა ხელს, როგორც მოსახლეობის, ასევე საკრედიტო ორგანიზაციების, მეწარმეებისა და დეველოპერების ადაპტაციას გამკაცრებული დაკრედიტების პოლიტიკისადმი.


როგორც ივარაუდებოდა, ფიზიკური პირების დაკრედიტების აღნიშნული წესი მნიშვნელოვან გეგავლენას მოახდენდა

დიაგრამა №3. მოკლევადიანი სესხები ეროვნული ვალუტით ეკონომიკური აგენტების მიხედვით **მილიონი ლარი**




წყარო: National Bank of Georgia

დიაგრამა №4. მოკლევადიანი სესხების მოცულობა ეკონომიკური აგენტების მიხედვით **მილიონი ლარი**



წყარო: National Bank of Georgia

დიაგრამა №5. საპროცენტო განაკვეთები თვეების მიხედვით სესხების და დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები



წყარო: National Bank of Georgia

ზოგადად სესხების გაცემის მოცულობაზე ფიზიკური პირების მიმართ და ასევე სავარაუდოდ შემცირდებოდა განვადებით მოვაჭრე პირების გაყიდვებიც, ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ განსაკუთრებულად სხვადასხვა ელექტროტექნიკის და მენაშენეთა გაერთიანების განცხადებები, ტექნიკის მალაზიათა ქსელ „ელექტრონიკას“ მონაცემებით, განვადებით გაყიდვებზე მოდიოდა 60-70%, ხოლო რეგულაციების შემდეგ გაყიდვების წილი 50% შემცირდა, ასეთივე განცხადებას ავრცელებს „ტექნო-ბუმის“ დამფუძნებელი ასევე სარეალიზაციო ფასის შემცირება მოუწია ტექნიკის მალაზიათა ქსელ „ბეკოს“ გაყიდვების შემცირების თავიდან ასაცილებლად. ასევე როგორც მენაშენეთა ასოციაციაში აღნიშნავენ 10-ჯერ არის შემცირებული იპოთეკური სესხების გაცემა გასული წლის იანვართან შედარებით. (ტექნიკის... :2019)

აღნიშნულის დასადასტურებლად ასევე მნიშვნელოვანია იმ სტატისტიკის წარმოჩენა, რომელსაც აქვეყნებს საქართველოს ეროვნული ბანკი, ფაქტობრივად ქვემოთ წარმოდგენილიდან ნათლად ჩანს, რომ 2019 წლის იანვრიდან ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები სისტემატურად მცირდება და თუ შევადარებთ 2018 წლის პირველი კვარტალის მონაცემებს, ფაქტობრივად განახევრებულია.

რაც შეეხება სესხების მოცულობას ის გაზრდილია და 30 მილიარდამდე შეადგენს, ასევე შემცირებულია საპროცენტო განაკვეთები უმნიშვნელოდ.

რაც შეეხება ბიზნეს სექტორის ბრუნვასა და პროდუქციის გამოშვებას, აქ ზრდის ტენდენცია შეინიშნება, კერძოდ ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობა 2019 წლის II კვარტალში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 26.6 პროცენტით გაიზარდა და 25.2 მილიარდი ლარი შეადგინა. ზრდის ტენდენციით ხასიათდება ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების მაჩვენებელიც. 2019 წლის II კვარტალში მისი მოცულობა 11.2 მილიარდი ლარით განისაზღვრა, რაც 12.0 პროცენტით აღემატება გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს (National Statistics.....2019:21-22).

რაც შეეხება ეკონომიკურ ზრდას, ის უკვე დაკორექტირდა, მაგრამ აღნიშნულის პირდაპირ დაკავშირება დაკრედიტების გართულებასთან არასწორი იქნება, რამეთუ არ გვაქვს საკმარისი არგუმენტი, რომელიც განპირობებულია არამართო დინამიკური ფაქტორით, არამედ სხვა შიდა ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორებითაც, ამიტომ პირდაპირ კავშირზე საუბარი ვერ იქნება.

ასევე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ეროვნული ბანკი პასუხისმგებელია დაკრედიტების სამაგალითო ქვეყნებად მიუთითებს რამდენიმე ქვეყანას, მათ შორისაა ესტონეთიც, მაგრამ ესტონეთში აღნიშნული წესი ვრცელდება საცხოვრებელი სახლების შექმნაზე და ვადაიანობაც 30 წლითაა განსაზღვრული, რაც თავისთავად ზრდის კრედიტზე წვდომას. ასევე შევდეთშიც აღნიშნული წესი გამოიყენება იპოთეკური სესხების მიმართ განსხვავებული საპროცენტო განაკვეთების მიხედვით.

დასკვნითი ნაწილი

ამრიგად, ყოველივე ზემოთ განხილულიდან შეიძლება, დავასკვნათ, რომ პასუხისმგებელია დაკრედიტება მნიშვნელოვანია თავისი სოციალური და ეკონომიკური შინაარსით, მაგრამ ყოველთვის უნდა გაიზომოს ეფექტი, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს ასეთმა რეგულაციებმა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ უცხოური პრაქტიკით PTI (ყოველთვიური შენატანები) სშირად მერყეობს 30-50% ფარგლებში, ხოლო ასევე დაკრედიტების პოლიტიკაში ხშირად აქცენტი გაკეთებულია მხოლოდ რომელიმე ერთი მომსახურების გაცემაზე (უმრავლეს შემთხვევაში ეს ეხება იპოთეკურ სესხებს). ასევე ასეთი გადაწყვეტილების მიღების პრეფაქტორია გარე და შიდა შოკები, რომლებიც გაუთვალისწინებელი გარემოებებითაც შეიძლება იყოს ნაკარნახევი, მაგალითად, ირლანდიის, აშშ-ს და ევროპის ბევრ ქვეყანაში იპოთეკური სესხების გაუფასურებით (შემდგომ უძრავი ქონების ფასების დაცემით), ასევე სშირია ვალუტის

გაუფასურებასთან დაკავშირებული მოლოდინები, რომლებიც მნიშვნელოვნად დამოკიდებულია საგარეო ვაჭრობაზე და უცხოურ ვალუტაზე, და აქ, რათქმაუნდა, საქართველოს შემთხვევაზე პირდაპირ დასაკავშირებელია. საქართველოში მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ პასუხისმგებელიანი დაკრედიტების პოლიტიკის ეფექტი გადანაწილებულ ყოფილიყო დროში, სესხის მომსახურების და უზრუნველყოფის სისტემატური ზრდით, რისთვისაც მზად იქნებოდნენ, როგორც ფიზიკური პირები, ასევე ეკონომიკური აგენტები, რომლების საქმიანობაც დაკავშირებული იყო განვადებით ვაჭრობასთან, ასევე ცალკე განსახილველია იპოთეკური დაკრედიტება, რამეთუ აღნიშნული დარგი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე სწრაფად მზარდ და სამომავლოდ ეროვნულ ბანკს დასჭირდება რეგულაციების შერბილება ამ მიმართულებით.

ასევე საპროცენტო განაკვეთების შემცირებას სავარაუდოდ ექნება მოკლევადიანი ეფექტი, რამეთუ შემცირებას

მართო დაკრედიტების პოლიტიკის გამკაცრება თავისთავად ვერ უშველის და საჭირო იქნება სხვა მაკროპრუდენციული გადაწყვეტილებების მიღება, მით უმეტეს, როდესაც მიზნობრივი ინფლაციიდან გადახრის გამო ეროვნულმა ბანკმა გაზარდა რეფინანსირების განაკვეთი 6.5%-დან 7%-მდე, აღნიშნული თავისთავად წარმოადგენს მონეტარული პოლიტიკის გადაცემის მექანიზმს და უარყოფითად აისახება საბანკო სექტორის მიერ გაცემულ სესხების საპროცენტო განაკვეთზე და თავისთავად ერთობლივ მოთხოვნაზეც, შესაბამისად, ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი სავარაუდოდ კიდევ ერთხელ დაკორექტირდება.

შესაბამისად, ეროვნული ბანკის მარეგულირებელი პოლიტიკის ნაწილი ყოველთვის უნდა იყოს, რათქმაუნდა, სოციალური გამოწვევების დაძლევა, მაგრამ ეს არ უნდა აზიანებდეს ქვეყნის ფინანსურ სტაბილურობას.

ლიტერატურა/REFERENCES

- Kovzanadze I., kontridze G. (2017). Modern Banking: Theory and Practice. Tbilisi (in Georgian).
 Basilaia K. (2018). Banking. Tbilisi (n Georgian).
 Kokiauri L (2012). Basics of Banking. Tbilisi (In Georgian).
 Tsaava G., Khantadze G. (2015). Banking Management (Theory, Methods and Practice). Manual. Tbilisi (In Georgian).
 Gelashvili M. (2018) Risk Management in Commercial Banks. Journal of Innovative Economics and Management, №2 (In Georgian).
 Order of the President of the National Bank of Georgia №281/04. (2018) December 24. (Available: 09.09.2019) (In Georgian).
 National Bank of Georgia. Review for July. (2019). (Available: 09.09.2019) (In Georgian).
 National Statistics Office of Georgia, 2nd Quarter of 2019. (2019) Review. (Available: 09.09.2019) (In Georgian).
 World Bank, Overview of Supervisory Regulations, October 2013. (2013) (available: 09.09.2019).
 House technic stores are with microfinance organizations on a new installment scheme. (2019). (Available: 09.09.2019) (In Georgian).